



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 18 ივნისი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი

ადგილმდებარეობა: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Zoom პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 18:00

დისტანციურ სხდომაში (Zoom პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) იური პოვხის, თეა მარიდაშვილის, ანა შავარდენიძის, ჯუმბერი ქათამაძის, მარიამი ტაბატაძის, მარიამ პარუნაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს იური პოვხის, თეა მარიდაშვილის, ანა შავარდენიძის, ჯუმბერი ქათამაძის, მარიამი ტაბატაძის, მარიამ პარუნაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) მურთაზ მემველიანის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ

ინფორმაცია, რომ მას წარმოდგენილი ჰქონდა 1999 წლის 6 თებერვალს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 4 მარტს იგი გათავისუფლდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო. ამასთან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს არ ერთვოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და განაცხადეს, რომ 2019 წლის 1 -ლი იანვრიდან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი ვალდებულია გაიაროს პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც ერთწლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან, ხოლო ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „პირს, რომელსაც აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლედ ან/და პროკურორად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მოეთხოვება მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული ნაწილის გავლა“. შესაბამისად, განმცხადებელს მოეთხოვება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული ნაწილის გავლა და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა.

მურთაზ მეშველიანის გაწევრიანების საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მეოთხე პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, არ დაკმაყოფილდეს მურთაზ მეშველიანის განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ სალომე თოთიბაძის, ფიქრია არდიას, შოთა კვანტალიანის, თეა ჟვანიას, თამარ ფაჩულიას, ავთანდილ ველთაურის, დავით ქადაგიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული

პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს სალომე თოთიბაძის, ფიქრია არდიას, შოთა კვანტალიანის, თეა ჟვანიას, თამარ ფაჩულიას, ავთანდილ ველთაურის, დავით ქადაგიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მედეა ვასაძის, შალვა შავგულიძის, ნინო ლობჯანიძის, დავით მაკარაძის, ლიანა კაჟაშვილის, თამარ ხომასურიძის და 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - ქეთევან სვანიძის, ნათია ქისიშვილის, ლანა კირვალიძის, თორნიკე თალაკვაძის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2021 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო

შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - ქეთევან სვანიძეს, ნათია ქისიშვილს, ლანა კირვალიძეს და თორნიკე თალაკვაძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად შემოსული 2021 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა (განმცხადებლები: კახა კილაძე, ნიკოლოზ ზაქარაია, თეონა ტაბატაძე, ანა გუჯარაიძე, თემირ გვიშიანი, ნინო სალუქვაძე, მათა ტალახაძე, ია თოდუა, კახაბერ ჭიაბრიშვილი, ხატია ქუბრიაშვილი, ნუნუ ჩოჩელი, ლაშა გოლუბიანი, თამარ დობტურიშვილი, ელენე კავთუაშვილი, მამუკა ტივიშვილი, ფატიმა შედანია, გიგა კოლუა, მზია ფხალაძე, გიორგი გოლუბიანი, მურმან ქამადაძე, შორენა ბარათაშვილი, ლალი ეუაშვილი, სოფიო გოგლიჩიძე, ივანე იორამაშვილი, ღია სარიშვილი, ხათუნა სირაძე, ჯონი ქობალია, მურად მიქელაძე, ლევან ცალუღელაშვილი, ნუგზარ დიდიშვილი, ნინო დოლიძე, ივანე სვიმონიშვილი, რუსუდან კვინიკაძე, ავთანდილ ბუაძე, დავით კორკოტაშვილი, მირიან პეტრიაშვილი, სალომე სამხარაძე, თეა ღვინჯილია, მათა გულიაშვილი, ზაზა სირბილაშვილი).

თავმჯდომარემ დააყენა წინადადება, რომ რადგან განსახილველია 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ვადის გაგრძელების საკითხი, წინამდებარე საკითხის განხილვა გადაიდოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის გამოცემის თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს შესაბამის სხდომამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად შემოსული 2021 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს შესაბამის სხდომამდე.

საკითხი 5. 2021 წლის საწევრო დავალიანების გადავადება/გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა (განმცხადებლები: რაიბულ კირკიტაძე, რაფაელ ამბარცუმიანი, ნანა როსტიაშვილი, მარიამ სებისკვერაძე, თემურ გიკაშვილი, ზურაბ ქსოვრელი, ნელი იასაღაშვილი, მთვარისა კველიშვილი, მათა კაკუბავა, მამუკა კონჯარია, გიორგი გელენიძე).

თავმჯდომარემ დააყენა წინადადება, რომ რადგან განსახილველია 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ვადის გაგრძელების საკითხი, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს შესაბამის სხდომამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2021 წლის საწევრო დავალიანების გადავადება/გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს შესაბამის სხდომამდე. ამასთან, იმ განმცხადებლებს, რომლებიც ითხოვენ საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლებას, ეცნობოთ, რომ მიზანშეწონილია მოთხოვნის დაზუსტება საწევრო დავალიანების გადავადებით, რადგან არსებული ნორმატიული ბაზა არ ითვალისწინებს საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას.

საკითხი 6. 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით 2021 წლის 18 მაისიდან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების

ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 18 ივნისი.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღეის მდგომარეობით, 1152 ადვოკატს ერიცხება 2021 წლის საწევრო დავალიანება. ამასთან, წევრთა გარკვეულმა რაოდენობამ მომართა ასოციაციას საწევროს გადახდის სხვადასხვა ვადით გადავადებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება დამატებით 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 2 ივლისამდე.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2021 წლის 17 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 14 კალენდარული დღით, ანუ 2021 წლის 2 ივლისამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 14 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 2 ივლისი.

საკითხი 7. საქართველოს სამართლის ინსტიტუტის განცხადების განხილვა აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

წევრები გაეცნენ საქართველოს სამართლის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საქართველოს სამართლის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 8. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ადვოკატ როინ აბაშიძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მან 2005 წლის 5 ნოემბერს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და ასოციაციაში გაწევრიანდა 2006 წელს. განმცხადებელი განცხადებით ითხოვს საერთო სპეციალიზაციის მინიჭებას, რადგან ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ როინ აბაშიძის მიერ 2006 წლის 26 ივნისს წარმოდგენილ განცხადებას გაწევრიანების თაობაზე, თან ერთვოდა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის სისხლის სამართლის სპეციალიზაციით ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი (ჩაბარების თარიღი: 05.11.2005) და შესაბამისად, იგი ირიცხებოდა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2005 წლის 25 ნოემბერს მოქმედი რედაქციის) 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი გაწევრიანებისას ასოციაციას წარუდგენდა სპეციალიზაციას, თუ მას ტესტირება გავლილი ჰქონდა სპეციალიზაციის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, როინ აბაშიძეს სპეციალიზაცია მიენიჭა მის მიერ გავლილი ტესტირების სპეციალიზაციის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სპეციალიზაციის ცვლილების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს როინ აბაშიძის განცხადება სპეციალიზაციის ცვლილების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

(ბ) მარიკა გილიგაშვილის განცხადებას ოჯახური პირობების გამო, ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მსმენლის სტატუსის გაუქმების ან შეჩერების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება არ ითვალისწინებს ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ფარგლებში მსმენლის სტატუსის შეჩერებას.

წევრებმა აღნიშნეს, რომ საბჭო ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას და რადგან განმცხადებელი ვედარ ახერხებს თეორიული კურსის გავლას, შესაძლებელია მისთვის შეთავაზებულ იქნას ორი ალტერნატივა - (ა) თეორიული კურსის შეწყვეტა თანხის დაბრუნებით ან (ბ) თეორიული კურსის შეწყვეტა გადახდილი საფასურისა და მომდევნო ნაკადებზე რეგისტრაციის შესაძლებლობით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: მარიკა გილიგაშვილისთვის შეთავაზებულ იქნას (ა) თეორიული კურსის შეწყვეტა თანხის დაბრუნებით ან (ბ) თეორიული კურსის შეწყვეტა გადახდილი საფასურისა და მომდევნო ნაკადებზე რეგისტრაციის შესაძლებლობით. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე